



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხდომის

სხდომის ოქმი № 08 / 2017

თბილისი

25. 05. 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 14.00

სხდომის დასრულების დრო: 15.00

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

საბჭოს წევრები: პროფესორები ვალენტინა საყვარელიძე, ირინა ჯობავა,

ასოცირებული პროფესორები: კახა კვაშილავა, ირმა ზაქარაია, მაია ალაია, ინგა მორგოშია, ირმა გულორდავა, ნინო ნასყიდაშვილი, ლია ქურხული, ელენე ჩომახიძე, ქეთევან გოჩიტაშვილი, ლია ჩხარტიშვილი, მაია ნატროშვილი.

ასისტენტ-პროფესორი ჭაბუკი ქირია.

სტუდენტები: მეგი ჯიბლაძე, ნინო სუდაძე, მარიამ გოგილავა, მარიამ გოიაევა, ანა გოიაევი.

ქვორუმი: 13

სხდომის თავმჯდომარე: მაკა კაჭარავა

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საკითხი.

მოისმინეს:

თქუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის პროფესორის მაკა კაჭარავას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2017 წლის 24-25 მაისს თქუ-ში ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის დროს ექსპერტთა და ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ექსპერტების მხრიდან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გაჟღერებულ იქნა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ვიზიტის დასრულებამდე გაზიარებულ იქნა პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან. ოქმს დანართის სახით ერთვის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ელექტრონული ვერსიის მოდიფიცირებული ვარიანტი (1 CD).

აზრი გამოთქვას: ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან გოჩიტაშვილმა, ასისტენტ-პროფესორმა ჭაბუკი ქირიამ.

მ.კაჭარავა: გთხოვთ კენჭი უყაროთ ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს და გადაეცეს ექსპერტებს ცენტრში წარსადგენად.

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 21-ვე წევრმა, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს ექსპერტებისთვის გადასაცემად..

გადაწყვეტეს:

1. გათვალისწინებულ იქნეს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და მოდიფიცირდეს ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა და გადაეცეს ექსპერტებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



მაკა კაჭარავა

გაიანე გრიგორიანი